კვირა 15 ივნისი

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშმაკის მათრახი

№ 21. იუმორისტ. ჟურნალი



ვიჯმნი ეშმაკისაგან,—თაყვანსა ვსცემ ნამდვილ მამულიშვილებს.

რედაქტორი ვარ ჯამბაზი:
ხან ისე ვსწერავ, ხან ასე,

დროს შესაფერად ვლოცულობ,
როგორც ცნობილი მანასე.

მა—ნი.

# გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

დაითრგუნა ზამთრის სუსხი, გადიყარა ზე'კამ ნისლი,
გაზაფხულის სიომ დაჰკრა, კვლავ აჩქეფდა მკერდში სისხლი.
გულმა იგრძნო სიხალისე, სიცოცხლე და სინეტარე,
ტყე იმოსვის მწვანე ფოთლით და ირთვება არე-მარე.
მერცხალი კვლავ დაგვჭიკჭიკებს. ენა ტკბილი, მოქარგული,
განახლების ჰანგს გვიგალობს გაზაფხულის მოციქული.
განთიადმა მოხუშულ ცას შავი რიდე შეახია
და ქვეყანას ბნელით მოცულს, უხვად სხივი დააფრქვია.
ცის წიაღში, ციურ არსთა, სანეტაროდ მორთეს მღერა,
ძირს მგოსანმა ჩანგს ჩამოჰკრა, სიმთა იწყეს ტკბილათ ჟღერა.
მგოსნის ჰიმნი მძინარ სოფელს, საიმედოთ ყურს ჩაესმა,
გაიღვიძა მაშვრალთ კერამ, სიხარულის ხმა გაისმა.
კვლავ ჩაება ბრძოლის ფერხულს, შვების სხივი მოხვდა გულსა,
მიეგება ალტაცებით მკერდ გადაშლილ გაზაფხულსა!

გოგია.

# მ ო გ ო ნ ე ბ ა

კვნესის ხმა მწარე, საზარი, წლულთა ზრზნა განუკურნავი,
ოხვრის და ვიშის ჰაერი გულის სიღრმეში მბრუნავი—
ცას შავად წამოჰგრაგნოდა ჰაერ-ღრუბელად ქცეული
და იქაც ისევ ჰკვნესოდა ძირიდან განაქცეული...
როს გაიჟღენთა, გაივსო ამგვარ ჰაერის სამზღვარი—
გადაიფისა, გარკანდა, ფერი მიიღო საზარი;
კუმშ-კუმშად, შავად ცაზედა უკვალოდ იწყო ფრიალი;
ოდნავაც იცრემლებოდა, აჰვსოდა თმენის ფიალი;
ვინც გინდა იყოს რას არ უქმნს ოხერი დარდი ტიალი;
და ვინ-ღა ჰგუოს ქვეყნისა ასე უკუღმა ტრიალი!..
...და ცისა ველზე დაჰქროდა
სიცოცხლეს მობეზრებული,
სიკვდილ-სიცოცხლის მძებნელი,
სამსხვერპლოდ განმზადებული;
პირ-მოღუშული, ჭმუხვნილი,
ვითა ზღვა აღელვებული,
დაასხლტა ცისა კიდესა,
წავიდა დაქანებული...
და აჰა, განამგზავრისა სადღაც შორს განხდა გრიალი,—
ჰაერს ჰაერი ეკვეთა, გააკრთო ელვა-პრიალი:
ნათელჰყო იგი, ვინც რომა იპყრობდა ჰაერს ძალადა,
ვინც რომ ჰყინავდა მის ზღუდეს —სცნო და ეკვეთა ალადა...
და ელვას მან ვერ გაუძლო და ნაზად შეებრჭყვიალა,
ალიპლიპ-აიწკრიალა, ჩაჰქრა და ჩაიჩხრიალა!..
და თანვე მოჰხდა ჰაერი რა ნახა უფლება გზისა—
ამმწვანებელი ველისა, საყნოსვი მცენრის თუ ხისა!..
და ეს აქ კი არ, შორს მოხდა,
დედამიწისა ერთს მხარეს;
იქ ხალხი ხარობს, შესცინის
ნათელ მზეს, ცას მოელვარეს!..
აქ კი კვლავ ცა შავადაა
და აფრქვევს ცრემლსა მდუღარეს!.

მიხ. ნინოწმინდელი.

# კრიტიკული შენიშვნები

(ანუ ძველი და ახალი*) პოეტების ტვინის სალაროს განიავება).

შეიძლება ჩვენმა კრიტიკოსებმა კიდევაც იწყინონ, როცა ასეთ სათაურს წაიკითხავენ და იფიქრონ, რომ მეც მათ სფეროში შევიჭერი და მსურს მეც კრიტიკოს-ლექტორის სახელი დავიმსახურო, მაგრამ შეცდებიან. მართალია კრიტიკოსები ბევრი გვყავნან, კრიტიკული წერილები ბევრი დაწერილა, მაგრამ ის რაც მე უნდა ვსთქვა, არც ერთ კრიტიკოსს არ უთქვამს. თუ დღემდე რამე დაწერილა მათ მიერ მხოლოდ იმ პოეტების შესახებ, რომლებიც თფილისში სცხოვრობენ, პროვინციელი პოეტები კი არ მოჰგონებიათ. მე მსურს დღეს თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ახლად აღმოცენებულ მგოსანთა ჯოგს, რომელნიც მიმალული არიან სადღაც პროვინციის კუნჭულებში და ჩვენ კრიტიკოსებს ჯერ ვერ შეუმჩნევიათ. სწორედ მე მსურს ამ მგოსნებს შევეხო და ღირსეულად გავქექო მათი ტვინის ნაცოდვილევ-ნანთხევი. ჩვენმა კრიტიკოსებმა კარგა ხანია აღნიშნეს და მეც მათ ვეთანხმები, რომ ჩვენში არსებობს ერთგვარი ავათმყოფობა — როცა ქართველი ბავშვი სიარულს იწყებს და ტიტინს მოჰყვება მაშინვე უჩნდება ტვინის ქავილი, ეს ისეთი ავათმყოფობაა, რომელსაც ვერავითარი წამალი ვერ რგებს. ავათმყოფი იკურნება მაშინ, უკეთუ ტვინი ძლიერ მოძრაობაში მოვიდა და თავის ქალადამ რამდენიმე წვეთი გადმოედინა. ავადმყოფმა აუცილებლათ თუნდაც ერთი ტაეპი ლექსი მაინც უნდა შეთხზას, რომ ქავილი შეუჩერდეს. ხშირად ხდება რომ ეს უცნაური ავადმყოფობა ქრონიკულ სახეს ღებულობს და მიუხედავათ იმისა რომ ავათმყოფი უკვე პოეტი ხდება, მისს ნანთ-

*) პროვინციელი მგოსნები.

ხევს კრიტიკოსები პენტავენ, სიკვდილამდე ქავილი აღარ შორდება ტვინს და ხშირად ფხანადაც იქცევა. ამ ავადმყოფობას დიდი ხიადაგი აქვს უმეტესად პროვინციაში, სოფლად. იქ ყველაფერი ხელს უწყობს ამ სენის გავრცელებას — წმინდა ჰაერი, ყვავილ-ბალახები. ვისაც ერთი ორი დღე კი უმუშავია რომელიმე ქართულ გაზეთის ან ჟურნალის რედაქციაში ის ადვილათ შეამჩნევდა რა სწრაფად იზრდება იქ პოეტთა რიცხვი. უბრალო ბარათი რა არის, იმასაც კი ლექსად სწერენ. ჯერ ჩვენ კრიტიკოსებს, ჩვენდა საუბედუროთ, ამ გარემოებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, მათი კრიტიკა შეეხო მხოლოდ იმ პოეტებს, რომლებიც აქვე თბილისში სცხოვრობენ, ჟურნალ-გაზეთებში სწერენ და დილა-საღამოებში მონაწილეობას იღებენ. თითქმის ორი წელიწადი იქნება რაც თვალ-ყურს ვადევნებ ამ ახალგაზრდა მგოსანთა ზრდა განვითარებას. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მასალა მოვაგროვე და დღეს მსურს თქვენც გაგიზიაროთ. ამ ახალგაზდა მგოსნების დასასურათებლათ მოვიყვან რამდენიმე ლექსს, რომელიც აშკარად ახასიათებს მათ მიმართულებას და პოეტურ აღმაფრენას.

საზოგადოთ ჩვენი კრიტიკოსები ზერელე ეხებიან ამა თუ იმ ლექსს და არავის მათგანს აზრათ არ მოსვლია ჩაეხედა სტრიქონებ შუა, გაესინჯა თვითოეული და გაეგო იქ დაფარული ღრმა ფილოსოფიური აზრი. ამიტომ მე განვიზრახე ყოველივე სიტყვა სათითაოდ გავარჩიო და გაგაცნოთ მისი აზრი.

აი რას ამბობს, ბატონებო, ერთი საუკეთესო პროვინციელი პოეტი ერთ თავის პატარა ლექსში:

მწვანე ბალახს ნაზად სწიწკნის
გაბრიელ მღვდლის შავი ჯორი,
მართალ ამბავს მოგახსენებთ
არ გეგონოთ თქვენ ეს ჭორი.

როგორც ხედავთ, ბატონებო, ლექსთა წყობა ნამდვილი მარგალიტია. როცა კითხულობ პირდაპირ სიამოვნებას გრძნობ ადამიანი, მაგრამ ეგ არაფერი, საქმე ის არის თუ რა ღრმა ფილოსოფიური აზრია ჩამარხული ამ მარგალიტში. ჩვენი კრიტიკოსები ყურადღებასაც არ მიაქცევენ იმ ბრძნულ სიტყვებს, რომლებიც აქ ჩვენ მგოსანს უხმარია. წიწკნა, ჯორი, ჭორი — აი ის ღრმა აზროვანი სიტყვები რომლებშიაც ავტორმა გამოხატა მთელი თავის სულის კვეთება. როგორც ხედავთ ლექსი სიმბოლისტურია და ამიტომ ეს მარგალიტი სიტყვები ღრმა დაკვირვებას თხოულობენ. სიტყვა წიწკნა მრავალ მნიშვნელოვანია, შეიძლება ის შევცვალოთ სიყვით გლეჯა, ყვლეფა. ავტორს სახეში ჰქონდა ჯიბის წიწკნა და გლეჯა და არა ბალახის. მაგალითათ ეს ითქმის რომელიმე დაწესებულების მოხელეზე, რომელსაც ჯამაგირი არ ჰყოფნის და საქმეზე მისულ ხალხის ჯიბეს სწიწკნის. ავიღოთ თუნდა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურე, უმთავრესად ბაზარში მომუშავენი, ისინი, როგორც ბალახს ჯორი, ისე სწიწკნიან და ჰგლეჯენ ვაჭართა გაქონილ ჯიბეებს. და ეს გარემოება მათ ძლიერ ასუქებს, რაიცა სახეში მიუღია ჩვენ მგოსანს. ავიღოთ ახლა მეორე სიტყვა — ჯორი. განა თქვენა ფიქრობთ მართლა ჯორზე აქვს ლაპარაკი ჩვენ ბალახის მგოსანს? სცდებით. სიტყვა — ჯორი ნამდვილი ფილოსოფიური სიტყვაა. თქვენ უთუოდ გენახვებათ მოწაფე, რომელმაც გაკვეთილი არ იცის და სდგას მასწავლებლის წინაშე, როგორც ჯორი, ან მსახიობი, რომელმაც როლი არ იცის და სდგას სცენაზე როგორც ჯორი, ორივე შემთხვევაში მდგომარეობა ჯორულია. მესამე სიტყვა ჭორი, მე მგონია, ყველასათვის ადვილი გასაგებია, რადგან ისეთი არვინ იქნება, რომელსაც ერთი რამ არ მოეჭოროს.

ორშაბათი დილა იყო
თვალი მქონდა დახუჭული,
ძილში უცბათ მომელანდა
ვიღაც კაცი გაქუცული.
ხელთა ეპყრა დიდი ჭიქა
პირ-ფართე და გვერდებ თხელი,
შიგ ელაგა თეთრი ღვინო
მჟავე როგორც ჭრიანტელი.

ასე იწყებს მეორე დიდებული მგოსანი ბატონი ბოხუა თავის უკვდავ პოემას „რაინდის სიზმარი“. ამ ლექსში ყურადღების ღირსია სიტყვა: დილა, ჭიქა, ღვინო, გაქუცული და ჭრიანტელი. მგოსანმა ამ ხუთ სიტყვაში მთელი სიგრძე სიგანით დაგვანახა ჩვენი ცხოვრება. პოეტს აქ უბრალო დილაზე როდი აქვს ლაპარაკი, აქ ის გულისხმობს იმ დილას, რომელიც ამ ბოლო დროს გადამდებ სენად გარდაიქცა, ე. ი. სალიტერატურო დილა. დილა, რომლის პატრონებად უნდა ჩაითვალოს უპირველეს ყოვლისა ქართველი მწერლები და შემდეგ ყველა ის, ვისაც სურს ორიოდე გროშით ხელი მოითბოს. დილა, რომელმაც ქართველ საზოგადოებას დაავიწყა დილაც და საღამოც და ისედაც მსუბუქი ჯიბე ძალზე დაუმსუბუქა. დილა, ადვილათ გასამართი და აგრეთვე უფრო ადყილად ჩასაფარცხი. როგორც სჩანს, ბატონი ბოხუა ამ პოემის დაწერის დროს სალიტერატურო დილაზე ყოფილა (ჩვენდა საბედნიეროთ ეხლა დილები პროვინციებსაც მოედო) და გასაკვირი არ არის თუ თვალები დახუჭული ჰქონდა და ეძინა, რადგან ეს ფრიად ხშირი მოვლენაა, როცა გრძელ-გრძელ მოთხრობებს კითხულობენ. ჭიქა, ღვინო — აი ის სიტყვები, სადაც ბატონი მგოსანი ნათლად ხატავს მთელ ჩვენ ცხოვრებას. უბრალოდ ნახმარი სიტყვები არ გეგონოთ. ბატონი ბოხუა აქ აშკარად ამბობს თუ რა მნიშვნელობა აქვს ჭიქას და ღვინოს ქართველი ერის ცხოვრებაში. ღვინო — ეს არის ქვა-კუთხედი ჩვენი ოჯახის. საზოგადოების და მთელი ერის. საზოგადოდ, ბატონ ბოხუას მთელ პოემაში ერთი დიადი აზრი აქვს გატარებული — რა არის საჭირო საზოგადო ცხოვრების ასაყვავებლათ. უმთავრესი მოტივები ბ. ბოხუას პოემისა არის ჭიქა და ღვინო და ის ამ ჭიქაში და ღვინოში ხედავს სა-

ზოგადოების ხსნას. და მართალიც არის, ღვინო ახურებს თავს და ამ შეხურებულ თავს, ვისიც უნდა იყოს, ერთ წუთს შეუძლია იმდენი სიტყვები დააქუხოს, რომ მთელი ქვეყანა გარდაქმნას.

საზოგადოთ უნდა ვსთქვა რომ პროვინციელი ახალგაზრდა მგოსნები თითქმის წინ წავიდენ თფილისელ მგოსნებზე. მათ არ სჭირდებათ არც მუზის ლოდინი, არც საწერკალამი და მაგიდა. თავიანთი მუზა მათ მუდამ თან ახლავს. პროვინციელ მგოსანს შეუძლია სადმე ღობის ძირს მიჯდეს და წამს გადმოანთხიოს თავის პოეტური ნაწარმოები, რაც თფილისელ მგოსანს არ ძალუძს. ეს პროვინციელ პოეტთა დიდ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს.

**ირეთელი.**

(შემდეგი იქნება)



– ეს რაღა ქაჯია?
– ქაჯი კი არა, ჩემი ცოლის მზითევია.

# შარადა

(ჩოხატაურისთვის)

შორს არ წახვიდეთ საგნისთვის
არც მინდვრათ, არცა ტყეშია,
არცა წყლის პირად, არ არის
არ არის არცა მთებშია.
სხვაგან ვერსადა ვერ ჰპოვებთ
მხოლოდ აფთიაქებშია,
ქანქარს მოიტანთ, მოგცემენ
და რაც მიიღოთ ხელშია —
სამად გაჰყევით -- პირველი
გქირიათ შარადაზედა,
ორი -- არაფრათ არ ვარგა
გადაისროლეთ განზედა!

მეორესათვის — აგრეთვე
ფეხს ნუ გადადგამთ კარზედა
იგი არ არის სულდგმული,
ნურც ფიქრობთ დანახვაზედა.
სენია მეტათ საშიში..
გავლენიანი ჯანზედა,
ვისაც შეიპყრობს, ვაი მას,
თმებს აწეწინებს თავზედა.
უფრო ბებრებმა იციან,
მოუხშირებენ ძალზედა..
(მიხვდებით აბა რას იზამთ,
ბოლონდელ გამოთქმაზედა!.)
„ხ“ გამოაკლეთ მთელ სიტყვას,
რაც დაგრჩეთ იგი ჩქარადა
მიაკოწიწეთ პირველსა
და გამოგივათ შარადა!..

—

ესე ბობოლი პაწაწა,
ძნელი რამ მისაკვლევია.
მარა ამ ჟამად, სჩანს იგი
ჩოხატაურლებს სწვევია,
ოთხ-ხუთს, რომ მწვავეთ უკბინა,
16-ტი გადურევია...
ერთ მათგანს უკვე შიშითა
ცრემლები დაუნთხევია
და „აზრი“-ს რედაქციაში
წერილიც წაუთრევია,
რომელშიც გოდებს 16-ტი:
„წაგვმწარდა დღენი ტკბილიო,
დღე მოსვენება აღარ გვაქვს,
ღამეც დავკარგეთ ძილიო,
შამოგვეჩვია ბობოლი,
სულ რაღაც უცხო ხილიო,
ბრუნდ და მართალსა ყველას კბენს,
მოგრძო აქვს მეტად კბილიო.
წახერხეთ თქვენი ჭირიმე,
მით მოგვანიჭეთ შველაო,
თორემ აგვევსო ფიალა...
კეტებს ავიღებთ ყველაო!“.

**ყორანი.**



# გამოცანა

(სამტრედიისათვის)

ერთ ასახხელს მოგახსენებ
მომისმინეთ, გამიგონე!!
და ახსენი ვისაცა გაქვს
ამის ჭკუა და ძალ-ღონე.

კაცი ვინმე „ლახტოსანი“
(ასე ვიცით ამ თავით ის)
მოგვევლინა და ამბობენ
შვილიაო ის დავითის!!

წერილებს სწერს საჩუმათოს
ჯუჯა კაცი, ეს კონდარა
მხოლოდ ქალებს, სხვას კი არა
და რაკრაკობს ვით „კოდარა“!

ჩუმათ მიდის, ჩუმათ მოდის
საქმეს იზამს სასახელოს
და აშინებს ვიღაცაებს
წერილებით, ეს „ძმა სელოს“.

სამუქარო უწერია
მას წერილი ოთხი-ხუთი
„просто пишетъ“, ვერ ივარებს
ჯიბეში მაქვს ეს საბუთი.

უბილეთოთ მეზობლებში
დაცუნცულობს აგი ტურა,
რადგან ჯერე ყურის ძირი
იმას ვერვინ შეუხურა.

გამოიცანთ. ვინ ბრძანდება
ეს მახინჯი ვაჟი ქერა,
მე კი ამის ვინაობას
ვერ გავამხელ, ვერა, ვერა!!

**ვაცარიძიუ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კურიოზები

(სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე.

**მოქმედება პირველი.**

(ოდეს ყრილობა გაიხსნა იგი
შავ კათედრაზე მდგომარე ბოძთან,
მსწრაფლ აეყუდა ანდრონი კონსტან
და რქვა):

**ანდრონი** —ბატონებო! მოისმინეთ
ტკივილები ჩემი გულის,
განიდევნოს პიესები
ამ ჩვენ პეტრე მოციქულის.
ბატონ პეტრეს არ უვარგა
ალარც სტილი ალარც ენა,
ალარ უნდა ამას ფიცი
დაამოწმებთ ამას თქვენა.
(მყის სკამიდან წამოიჭრა
პეტრე ბრაზით გაბერილი,
ხალხს შესძახა და იშიშვლა
რევოლვერი გატენილი
და მიიქცა კათედრისკენ):

**პეტრე**—მოვკვდი! ალარ შემიძლია
ბატონებო, გავსკდი გულზე,
კათედრიდან არ ჩამოვალ
თუ ანდრონის არა ვდრუზე
(და პეტრე იგი კათედრის თავზე
ვით ასწლოვანი ამაყი მუხა
მედიდურათა იდგა ჰყვიროდა
იქაურობა სულ დააქუხა).

—

**მოქმედება მეორე.**

(პეტრეს შემდეგ კათედრაზე
აცუნცულდა მოსე იგი,
და დაუკრა ჰიანური
რადგან იყო მისი რიგი)

**მოსე** —
მე მხატვარი...თქვენ მხატვარი
მე თოიძე, თქვენ სხვა გვარი,
თქვენ მხატვარი... მე მხატვარი
მე ქართველი, თქვენ თათარი.
დიდ ხანს მინდა ვიბაასო
ვირაკრაკო როგორც თარი,
მე მხატვარი...თქვენ მხატვარი
მე თოიძე, თქვენ სხვა გვარი.

F15615
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

(და მოსე იგი მთელი საათი
მუნ წრიპინებდა ვით ჭიანური,
და რაკი მოსე მხატვარმა კვალად
აღარ შესწყვიტა სიტყვის რახუნი
მყისვე წამოდგა მუნ თავმჯდომარე
და იწყო ძალზე ზარის რაკუნი).

**თავმჯდომარე —**
გთხოვთ გაჩერდეთ ნუ ლაქლაქობთ
ჩვენ არა გვსურს ამის მეტი,
ჩამობრძანდით, სკამს დაბრძანდით
თუ არა გსურს მოგცხოთ კეტი.

(და მოსე იგი მოსწყდა კათედრას
გულ დათუთქულმა ამოიკვნესა
და სკამს მჯდომარე, ნერვებ აშლილი
აფხაკურებდა ორივე ფეხსა)

—

(აქ შესწყდა კრება ორშაბათისა
წევრებმა კლუბში შერგეს თავები,
და ჩაილაგეს მშიერსა კუჭში
ვახშამი ტკბილათ შენაზავები).

(შემდეგი იქნება)

**დამსწრე.**

---

# გამოცანა

(ქიათურისათვის)

აბლაკატათ სუდში იყო
ტყავსა ხდიდა მარცხნით, მარჯვნით,
გლეხი იყო მისი ფური
და სცხოვრობდა იმის ხარჯით.
ერთს ღამესაც მიძინილში
კარს მიადგა ბედი საგზლით,
უთხრა: „ადექ გამომყევი
გამდიდრდები მხოლოთ ამ გზით,
თუ შნო კი გაქვს ჰა სიეზდი,
თორემ გლეხის ღლეტა-ქუცვით,
ვერ გაძღები და დარჩები
ცარიელი ერთ დროს კუჭით“.
რა გათენდა ზეზე ადგა
გამოჭკოდა ძველი ფრაკი,
გაჭკრა ჩოთქი, გამოეწყო
ეგ საქვეყნოთ დასაბრაკი.
სოფელ შუქრუთს მიაშურა
იქ იშოვა მრეწველთ „ზნაკი“,
და საბჭოში შეგვიგორდა,
ვით მაღლაკის ხაბურძაკი.
იქ ლუთაო ლაპარაკით
ისახელა თავი აკი,
„რევიზორათ“ გაათეთრეს
ეს მასხარა, კოვზი ტლაკი...
დახე ბედმა გაუღიმა
დაამტკიცეს ამა ჩინში?!
საბჭოს ვეღარ მოაშორეს
ჩაკირკიტებს ვითომ წიგნში.
ეს-დეკების ლანძღვა თრევა,
ვით სიგარა უდევს პირში,
აი გმირი, ვინც სამშობლოს
ეწირება გასაჭირში!!
წყლის გაწმენდის მეთვალყურეთ
თავის თავსა ისახელებს,
გაშავებას ვინ შეკადრებს?
ყველა ერთად სწევენ ხელებს.
საქმის დროს, ვით თათქარიძე
ჭერში ითვლის წყნარათ მწერებს,
თვის ბოლოში მარჯვე ლაფშას
კასისაკენ მოაჭენებს...
ამ უსაქმო ხეტიალში
ყველა დარგში კი ეჩრება,
მუშებშიაც დალაქლაქებს
ვით მარკოვი არა სცხრება.

გამომცნობელთ ამ ვაჟასი
მიერთმევა შრომა კორტის
კრიტიკა ალექსანდრესი
ვითარ ლუკმა ტკბილი „ტორტის“.

**მავნე.**

---

# მესტვირული

(პროვინციისათვის)

ვხედავ არ მარგებს დუმილი
გამრავლდენ მავნე ძალები,
მაშ მომეხმარე გუდუნა
შენს მომგონს ვენაცვალები.
ამღერდი მშხამავ ხმაზედა
ცბიერთ აუწვი თვალები,
აღარ დაინდო არავინ
არც კაცი, აღარც ქალები...

სამოგზაუროდ გამომყევ
ჩოჩხათში მისვლა მჭირია,
უნდა მოვძებნოთ, გავძაგროთ
იქ ერთი მავნე პირია.
ის არის მამასახლისი
(ზევით რომ მიაქვს ცხვირია)
მსურს რომ გავაცნო ყველასა
თუ ის როგორი გმირია.

მიულილინოთ მაგ მსუნაგს
მოვცხოთ მათრახი მწველია
უთხრათ: დაფიქრდეს, დამშვიდდეს
ნუ არის ენა გრძელია,
რათ დაფაფხურობს, რათ დაძრწის,
რათ არის ავის მქნელია...
ფრთხილათ!.. ცოტათი ძია ჯან
ნუ გხურავს ცაი ქუდათა,
თორემა შენი ნათესი
აღარ ჩაივლის ცუდათა...
და ღირსეულად მოიმკი
რაც ძველათ დაგითესია,
ბოროტი ბოლოს ინანებს —
ეს არს ბუნების წესია...

აქედან სწრაფად მოვკურცხლოთ
გადავიაროთ მთა, ველი,
ვეწვიოთ სოფელ უჩხუბსა
იქ არის ზურგ ასაწველი —
ვაჭარი ჩასქელებული,
ქურდულათ ხალხის მძარცველი
მიულილინოთ მაგ მსუნაგს
უთხრათ რაცა გვაქვს სათქმელი.

ივანე! ვფიცავ მირონსა
ნუ მომიკვდება მშობელი,
გთხოვ დამიჯერო მე შენთვის
არა ვარ ცუდის მთხრობელი.
რაც უკანტროლოთ დაძარცვე
ჩემო ივანე სოფელი,
ეხლა პარკების ყიდვაზე
კიდევ ბევრ ქანქარს მოელი.
ყალბი სასწორით ხალხს სძარცვავ
ბევრია მაგის მნახველი,
მუქთა-ხორების ტიკჭორავ
კიტრად ღირს შენი სახელი...

იქ ახლო-მახლო ბევრი არს
ჩარჩნი ზურგ ასაწველია,
„მოსე მწერალი“ ხალამპრე
და დავით, წუწკი მელია...
მაგრამ ამათზე დროს ხარჯვა
განა კი სასურველია?!
(რა გაასწორებს კუზიანს
თუ არ სამარე ბნელია)...
ეხლა მეჩუტვის ქამანჩა
ლექსებიც შემომელია,
დანარჩენს შემდეგ გიმღერებთ
თუ რომ არ მომკლეს —

**ბელია.**

---

## ლანჩხუთში

**ნახული და გაგონილი.**

— რავა მყავს შენი თავი სოფრომ მამათქვენოვიჩ!

— რავა ძმია და სტამპოლის კენჭსავით!

— დასურ კაცო? აბა რეიზა მითხრეს სოფრომას სმა-ჭამის მადა სულ დაეკარგაო?

— კაი შეგიტყვია! ამ შიმშილობის დროს სმა-ჭამის მადა რო მექნეს, წითელ მიწანელას თუ მოვხრავ არ ვიცი თვარა სხვაი არაფერია ჩემს ბარაზე.

—

— ვინაა ნეტაი აი ტანგო ყმაწვილი?

— დაგიდგა თვალები თუ რაა, კელენჯუხაის მოსრებული ვაჟა ვერ იცანი!

— მირონში ეტყობა ამისთანა მართალი, პატიოსანი და კეთილი მთელ დუნიაზე რომ არ იქნება!

— ძალიანი შეგიტყვია! აგი იგია: ოზურგეთიდან გაზეთში სიცრუე დასწერა, ზესტაფონში ცილისწამებაში პიატ პლიუსი მიილო, აბაშაში რაცხა მეიჭორა და „მოვამ“ რო გაჯორა, ლანჩხუთში ტყუილების ჯურღმულში რო ცურავს და ამით „ლახტის“ მკითხველებს: კოკის, ოკოკის, სკოკის, სკ. და სათაელს ტვინი გაულაყა.

**მიცოცავს.**

---

## „მ ე გ ო ბ ა რ ს“

**სათაელს.**

(დაგვიანებული პასუხი)

„მეგობარო“, ჩვენს „მათრახსა“
ის მიუძლვის ცოდო-ბრალი,
რომ შენ გაგკრა თვისი კუდი
და გაგაგდო ხახა-მშრალი.
ის არ ინდობს, ვინც კი არის:
სიტყვით შენებრ ყია-მყრალი,
საქმით არაფრის გამკეთე,
ხედვით ბეცი, ჭკუით მთვრალი.
შენი ხელობა სხვა არის —
(თუ რომ გინდა ვსთქვა მართალი)
და კალამსა იღებ ხელში?
(ვაი შენი ცოდვის ბრალი)!

**წკიპარტი.**



# თფილისის მათრახები

**ხმა ვერიდან.**

მათრახო შენ გეთაგვანე,
გადმოიარე ვერასა,
რომლებიც დაგისახელო
შენ მიუცხუნე ყველასა.
ვინც მაკაროვის მიწებში
შეყლაპა ხალხის ფულია
გაუმაძღარი სვავივით
კიდევ შია და სწყურია.
თოხაძე ნიკას უთხარი
რას მოუკუმავს პირია,
სთქვას გაფლანგული ფულიდან
მაგასაც ერგო წილია?
ეს თოროზოვი „მეპადვლე“
ნეტავი რასა შვრებაო
ქათამი როცა წყალსა სვამს —
ხომ მაღლა იხედებაო,
იკმაროს რაც ისარგებლა
შეხედოს მანაც ალახსა
ნუღარა ჰყიდის ხალხისას
საეკლესიო ალაგსა.
მუყაშაშვილიც აქვეა
თავისი კოხტა ვირითა,
ის ჩასახეთქი მუცელი
ამოიფილოს კირითა,
(ყლაპავს და ყლაპავს ხალხის ფულს
მაინც ვერ ძღება ღვინითა).
ვანუა მურალაშვილი
რაღაზე ირცხვენს პირსაო
თავისიც საკმარისი აქვს,
მაშ რაღათ უნდა სხვისაო.
ლაგამი ასდოს თავისსა
გაუმაძღარსა მადასა
დაეხსნას სხვისი ნაშრომით
ფურნეში ნაცხობ ქადასა.

**თქვენი მეგობარი.**

—

**თფილისის დეპო.**

რკინის გზის მთავარ დეპოზე
მინდა რამ საუბარია,
გადამტან მუშის უფროსი
გაივასოვსკი გვარია.
ურცხვია ქრთამის თხოვაში
ეგ ყოვლად საზიზღარია
„მაყარიჩების“ რა თქმაა,
არა აქვს ხომ საზღვარია.
ქურდობასაც არ თაკილობს
ეგ გონებრივად სნეული,
ათ რწყვილ „რუკავიცს“ გაყიდის
ყოველ თვე და თვე წყეული.
თავისი მომხრე მუშები,
ცალკე ყავს გამორჩეული,
ნება დაურთველ საქმეზე
წამსვლელ მომსვლელად ცნეული.
ასლანა დურგლიშვილი და
ბედენოვ, ჭკუა თხელია,
იმისთვის თავდადებულნი
მისი მარჯვენა ხელია.
გიგილაშვილი, ციბაკა,
ბუდიკა, ჯალაბაძეთი,
არ მოვსთვლი ყველას,
ზოგზოგი კიდევ არიან აგეთი.
იმის ერთგული მსახურნი
მუდმივათ სულ ესენია
ძაღლის ლეკვივით ლაქუცი
ამათ აღარა რცხვენია.
მათრახო! შენ გევედრები
უჩვენო ძალა შენია,
მოსცხე ნუ შეგეცოდვება,
ვითომ ჯაგლაგი ცხენია.

**კირილე ნანეიშვილი.**

---

**ძლვნად ზოგიერთ მკლავაძეებს.**

(თფილისისათვის)

პარიკმახერებს ეღირსათ
ცოტათი მოსვენებაო,
თუ მართლა ასე დაწესდა
არ დარჩა მოჩვენებაო.
დილით აღებენ ქარხანას
როცა ცხრა შესრულდებაო,
ჰკეტავენ რვა საათზედა
როდესაც დაღამდებაო.
შაბათობით კი რადგანაც
მუშტრები მოგროვდებაო,
ათ საათამდის ღიაა
ეს ასეც მოუხდებაო.
თურმე ამ ამბვის გაგებით
ბევრს ზურგი აჰქავდებაო,
რვაზე, რომ ჰკეტავთ ქარხანას
ეგ, როგორ შეიძლებაო.
სადღა წავიდეთ მაშინ ჩვენ
ან რაღა გვეშველებაო,
მოუპარსავი დავრჩებით
და ეს არ მოგვიხდებაო.
ზოგს მუშტაიდში საქმე გვაქვს
და ზოგსაც „პროსპექტზედაო“,

I-88/2 1914

ზოგიც ვერაზე მივდივართ
ქალები გველოდებათ.
მუშამ, რომ მეტი იშრომოს
ჩვენ რაში გვენაღვლებათ,
როცა გვსურს მაშინ მოგვპარსეთ
ასეა ჩვენი ნებათ.
ერთ ღამეს ერთ ქარხანაში
ეს გუნდი შეგროვდებათ,
ზოგი ნოქრებიც ერივნენ
თავი ნუ მომიკვდებათ.
თუმც რვა საათი სრულდება
ქარხანაც იკეტებათ,
სუყველა მუშტზე იცქერის
საჩხუბრად ემზადებათ.

უნდა მოგვპარსოთ წვერები
ულვაშიც დაგვიმშვენოთო,
თორემ მზათა ვართ ყველანი
მუშტები დაგიშინოთო.
ამ დროს სად იყო სად არა
გაჩნდა ხელოსანთ კრებული,
ძალად მაცხონე მუშებმა
ჩხუბი ჰქნეს მეტად ქებული.
შეიქნა აყალ-მაყალი,
ლანძღვა-გინება ცემათ,
ერთ ნოქარს მაგრათ მოარტყეს
ყირაზედ დაეცემათ.

ყველაზე მეტი უთაქეს
ბატონ ტანდოევს გვერდშია,
ერჩივნა არ მოეპარსა
წვერები თავის დღეშია.
ნოქრებსაც სახელს უტეხენ
კუდები მეტიჩარათ,
ამ სისაძაგლეს ჩადიან
სულელი ცხვრების ფარათ.
ასე მოხვდება სუყველას
ვინც ყბედობს წარა მარათ,
იმათი გამათრახება
მკითხველო მგონი კმარათ.

**ზენათობა.**

## რედაქციისაგან

„მათრახის“ მე-20 ნომერში ერთი თვალსაჩინო შეცდომა გაგვეპარა: ანკეტაში ქართულ თეატრის შესახებ ერთ პასუხს აწერია „ს. ჭანტურიშვილი“. ეს პასუხი ს. ჭანტურიშვილს არ ეკუთვნის. ის შეეხებოდა ერთ დრამატურგს, რომლის დასახელება ეხლა მეტად მიგვაჩნია. რედაქცია თავის მწუხარებას გამოსთქვამს რომ ასეთ უნებლიეთ შეცდომით შეურაცყოფა მიაყენა ბ-ნ ჭანტურიშვილს.

„მათრახის“ რედაქცია.

## პასუხათ ბ-ნ ვასილ ხარაბაძეს.

საკვირველი კაცი ყოფილხართ ბ-ნო ვასილ გიორგიჩ! თქვენ მე მიწვევთ სამედიატორო ნამართალში! რა საბუთების ძალით? თუ სხვის აპეკუნობას ეწევი (მგონი ვერ შეასრულო, მძიმე როლი გიკისრებიათ) ჯერ დამისახელეთ ის პირნი ვინც დაგავალა თქვენ ე'ი როლი და მერმე მზათა ვარ გამოგყვე სამედიატორო სუდში.

შანთი.



**თფილისის კლუბები — საზაფხულო ბაღებში.**

## ს ი მ ღ ე რ ა.

დროება გამოიცვალა: ზაფხულში დგება ზამთარი!..
(მიკვირს, დალოცვილ ბუნებას რამ აურია დავთარი?!)
მე კი გულს იგი მახარებს: აღარ მჭირდება დაჩები...
(სიცივემ თუ არ გამყინა წრეულს თფილისში დავრჩები)

**მათრახოსანი.**

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“ მუხრანის ქ., № 12. რედაქტ-გამომც. თ. ბოლქვაძე.